სალამი „კომუნისტს“

გრძელი და სახელოვანი გზა განვლო ჩვენმა გაზეთმა „კომუ-ნისტმა“. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ის მტკიცედ რაზმავს მშრომელებს ახალ წარმატებათა მო-საპოვებლად. ეს მაჩვენებელია „კომუნისტის“ დიდი პოპულარო-ბისა მშრომელთა შორის. ეს პოპულარობა კი იმით აიხს-ნება, რომ ის პირნათლად ემსახურება პრესის დანიშნულე-ბას სოციალისტურ საზოგადოებაში. მართლაც, „კომუნის-ტი“ ნამდვილი ორგანიზატორია ჩვენი ყოველდღიური საქმია-ნობისა და ემსახურება ამ საქმიანობის სწორ გზაზე წარმართ-ვას. გაზეთის ფურცლებზე გამუქებას პოულობენ არსებითი საკით-ხები პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრებისა, ის გულისხმიერად ეკიდება ხელოვნების, მეცნიერების და ლიტერატუ-რის ინტერესებს.

როგორც ერთ-ერთი მეცნიერი მუშაკი, ხაზგასმით აღვნიშნავ მის მნიშვნელობას ჩვენში მეცნიერული აზროვნების განვითარების საქმეში. გაზეთი გულწრფელი სიხარულით ეგებება ჩვენს მიღწე-ვებს, მტკიცედ, პრინციპულად აღნიშნავს ნაკლსა და სწორი გზიდან გადახვევას. მის ფურცლებზე გამოქვეყნებულია არა ერთი და ორი სამეცნიერო ხასიათის ნარკვევი და გამუქებულია ესა თუ ის პრობ-ლემა.

გულმხურვალედ ვეგებები გაზეთის მეათიათასე ნომერს, ვუ-სურვებ გაზეთს მტკიცე და ურღვევი ნაბიჯით უძღვებოდეს წინ თავის მკითხველებს კომუნიზმის სამყაროსაკენ და ამით ამართ-ლებდეს „კომუნისტის“ სახელწოდებას.

აკადემიკოსი ა. �eliძე.